

რუსუდან ასათიანი

ენობრივ ფორმათა ფუნქციური კლასტერები სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე ქართულში

1. საკითხის დასმა: თეორიული მიდგომა

ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანებს შორის არსებული მიმართებების ამოცნობა-აღწერა და მათ შორის ცალსახა კავშირების დამყარება არის სტრუქტურული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა.


ამ მიმართებების შესწავლა ეფექტურია, თუ ნიშნის სამივე ასპექტი – როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული – იქნება გათვალისწინებული.

პრაგმატიკული ასპექტის წინწამოწევა გულისხმობს ნიშნის მნიშვნელობიდან მის ფუნქციებზე ყურადღების გადატანას: ფუნქციონალური მიდგომით, ნიშანს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობისა და ფორმის, არამედ ენობრივ სისტემაში მისი ფუნქციების მიხედვით ანალიზებენ. ასეთი მიდგომით ნათელი ხდება, რომ აღსანიშნა (resp. მნიშვნელობა) და აღმნიშვნელს (resp. ფორმა) შორის ცალსახა მიმართების დამყარება ყოველთვის ვერ ხერხდება, რამდენადაც შესაძლებელია:

(1) ერთი ენობრივი ნიშნის ფორმა ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავდეს; და, პირიქით,

(2) რამდენიმე ენობრივი ნიშნის განსხვავებული ფორმები კომპლექსურად ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდეს, ანუ ერთ ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს, და ენობრივ სისტემაში ფუნქციონირებდეს როგორც ერთი ერთეული.

(1)-სახის მორფემათა ნიმუშები გავრცელებულია ე.წ. ფლექსიურ (resp. ფუზიურ) ენებში ენებში, სადაც ერთი და იგივე აფიქსური მორფემა რამდენიმე მნიშვნელობას ერთდროულად გამოხატავს. ფუზიის ამგვარი შემთხვევები (ერთი ფორმა → რამდენიმე მნიშვნელობა) საკმაოდ გავრცელებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და სათანადოდ არის კიდევ გაანალიზებული; მაგალითად, მესამე სუბიექტური პირის მორფემის აღმნიშვნელი სუფიქსი *-ს* ერთდროულად აღნიშნავს მნიშვნელობათა კომპლექსს: {სუბიექტი, მესამე პირი, მხოლოდითი რიცხვი, აწმყო, აქტიური ზმნა} ან {სუბიექტი, მესამე პირი, მხოლოდითი რიცხვი, კავშირებითი კილო}. თუმცა, ფუზიის მეორე შემთხვევა: ერთი მნიშვნელობა/ფუნქცია → რამდენიმე ფორმა, რომლის კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ ლათინურ ენას, ნაკლებად არის გამოვლენილი და შესწავლილი ქართულში. განვიხილოთ ნიმუში ლათინური ენიდან:



სიტყვაფორმა *re:k-s-is-ti* დაშლილია მორფემებად, სადაც *-ti* სუფიქსი გამოხატავს სუბიექტური მეორე პირის მხოლოდობით რიცხვს პერფექტივში (ანუ, ამ შემთხვევაში რეალიზებულია ფუზიის (1)-ტიპი, როდესაც ერთი ფორმა გამოხატავს რამდენიმე მნიშვნელობას); ხოლო მორფემათა მიმდევრობა *-s-is-ti* ასრულებს პერფექტივის გამოხატვის ფუნქციას (ანუ, აქ რეალიზებულია ფუზიის (2)-ტიპი, როდესაც რამდენიმე ფორმა გამოხატავს ერთ მნიშვნელობას და ასრულებს ერთ ფუნქციას). თუ პირველ ტიპის შემთხვევებში ვსაუბრობთ ე.წ. ფლექსიურ მორფემებზე, მეორე ტიპის შემთხვევების პირველისგან გასამიჯნად იყენებენ ტერმინებს: კომპლექსური მორფემები, ფუნქციური კომპლექსები, ზმნური და/ან სახელური კლასტერები.

ჩვენი მიზანია, სწორედ (2)-სახის შემთხვევებზე ყურადღების გამახვილება, მათი სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოვლენა და ანალიზი ქართული ენის მასალაზე.

2. ფონოლოგიის დონე

ფონოლოგიის დონეზე ამგვარი, ე.წ. კლასტერული, შემთხვევების ნიმუშს წარმოადგენს გ. ახვლედიანის მიერ გამოყოფილი და სათანადოდ შესწავლილი A და B ტიპის ჰარმონიული კომპლექსები: *ბგ, ფჟ, კკ, დგ, თქ, ტკ* და ა.შ.

მის მიერ ჩამოყალიბებული ბგერათშეერთების მესამე – არტიკულაციის ერთჯამიერობის – წესის თანახმად,

„უშუალო მეზობლობაში მყოფი ჰეტერორგანული თანხმობების წარმოთქმისას მათი არტიკულაცია მიისწრაფვის ერთჯამიერობისაკენ“ (ახვლედიანი 1999, 111).

შედეგად წარმოიქმნება ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც მარცვლის სტრუქტურაში ერთი თანხმობის ფუნქციას ასრულებენ: მათი გათიშვა გაბმულ მეტყველებაში არ ხდება (რაც ასახულია კიდევ ქართული სიტყვაფორმების დამარცვლისა და გადატანის წესებში).

აღსანიშნავია, რომ, თუ თანხმობების შერწყმის ხარისხი იზრდება, შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ახალი ნიშნები; მაგალითად, ასეთი გზა გაიარა ქართულში აფრიკატმა ფონემებმა: *ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ*.

3. მორფოლოგიის დონე

3.1. ვნებითი გვარის ფორმები აწმყოში

განვიხილოთ ვნებითი გვარის ფორმები:

ვ-ი-ხატ-ებ-ი / *-ი-ხატ-ებ-ი* / *-ი-ხატ-ებ-ა*
ს.1-ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ./ს.2.ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ./ვნ.-ხატვა-თ.-აწმყო.ვნ.ს.3.მხ.

ამ ფორმების ცალსახა ანალიზი გართულებულია, რამდენადაც

(ა). *ი-* პრეფიქსი, რომელიც ტრადიციულად მიიჩნევა ვნებითი გვარის გამომხატველ პრეფიქსად, საზოგადოდ, პოლიფუნქციურია და გამოხატავს სხვადასხვა ზმნურ კატეგორას: სათავისო ქცევას, სასხვისო ქცევას (როდესაც ირიბი ობიექტი პირველი ან მეორე პირისაა), რეფლექსივს,

პოტენციალის, დეპონენსებს, მედიაოქტიურ ზმნათა დროთა ე.წ. “ნაკლულ” ფორმებს. რამდენადაც *o*-პრეფიქსი ვნებითის ფორმას ცალსახად არ მიემართება (ვერ წინასწარმეტყველებს ფორმის შინაარსობრივ ვნებითობას, განსაკუთრებით, მეორე სერიის მწკრივებში), ვნებითის ნიშნად მისი კვალიფიკაცია ცალსახად ვერ ხერხდება (ასათიანი 1987); ხოლო

(ბ). *-o/-a* სუფიქსური მორფემები ვნებით ფორმაზე მიგვანიშნებენ მხოლოდ მნიშვნელობათა კომპლექსში: {-თემა(-ებ)-აწმყო(-o)/აწმყო.ს.პ.მხ.(-a)} და შეუძლებელია მხოლოდ რომელიმე ერთ მორფემას ამ ჯაჭვიდან მივაწეროთ ეს ფუნქცია – თემის ნიშანს, მწკრივის ნიშანს თუ სუბიექტის მხოლოდითი რიცხვის ნიშანს? ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში ის კვალიფიცირდებოდა (1)-სახის ფლექსიურ მორფემად, მაგრამ ამის საფუძველს მორფემული ანალიზი ვერ იძლევა.

ამ პრობლემის მოხსნა შესაძლებელია ფუნქციონალური მიდგომით:


{-ებ-o/-ებ-a} მორფემათა მწკრივი ფუნქციონირებს როგორც ერთი ელემენტი და, ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ ფუზიის (2)-სახის ფორმად – მორფემათა კომპლექსად, ფუნქციურ კლასტერად,¹ რომელიც უკვე ნამდვილად ცალსახად მიემართება ვნებითი გვარის ფორმას აწმყოში.

3.2. უწყვეტლის სავრცობი

პრობლემური ჩანს, ასევე, უწყვეტლის ფორმების კვალიფიკაციის საკითხი, სადაც ნათლად გამოიყოფა მორფემა *-დ/-ოდ*, რომელსაც აკ. შანიძე უწოდებს „სავრცობს” და, ამდენად, ტერმინს მხოლოდ ფორმის აღწერით ხასიათს ანიჭებს – მორფემის არც შინაარსზე და არც ფუნქციაზე მინიშნება არ გვაქვს:

„I სერიის ორი მწკრივის ფორმათათვის გავრცობა უნდა იმ თემას, რომელიც აწმყო-მყოფადში იხმარება. იქნება ეს თემა მარტივი თუ რთული, სულ ერთია, ორთავ უნდა დაემატოს დ, რომელსაც სავრცობი ჰქვია. გავრცობილი თემისაგან ნაწარმოები მწკრივებია უწყვეტელი და I კავშირებითი” (შანიძე 1973, 409).

მაგალითად განვიხილოთ რომელიმე ზმნის ფორმა უწყვეტლის მწკრივში:



მორფემული ანალიზისათვის, ფორმის აღწერის გარდა, კრიტიკულია მორფემის მნიშვნელობის/ფუნქციის დაზუსტებაც, რაც რთულდება, რამდენადაც, თუ მკაცრად შევაფასებთ ვითარებას, მორფემათა მთლიანი ჯაჭვი კომპლექსურად და არა რომელიმე ერთი მათგანი

¹ ტერმინი *კომპლექსი* უკვე დატვირთულია ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში (შდრ. ტერმინს *ჰარმონიული კომპლექსი*). დამკვიდრებულ ტერმინთან კვეთის არასასურველობის გამო, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს *ფუნქციური კლასტერი*..

გამოხატავს ერთ, კონკრეტულ მნიშვნელობას – პერფექტივს (resp. უწყვეტელს); სავრცობი, ჯაჭვის შემადგენელი დანარჩენი მორფემების გარეშე, არც იხმარება და უწყვეტლის მწკრივის გარდა სხვა მწკრივის ფორმებშიც დასტურდება: აწმყოს კავშირებითში, ხოლმეობითში, მყოფადის კავშირებითში. მამასადამე, მთლიანი ჯაჭვი (და არა მხოლოდ ე.წ. „სავრცობი“) უნდა მივიჩნიოთ უწყვეტლის მარკერად და, ამდენად, ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია გამოვყოთ ფუნქციური კლასტერი: {თემა-სავრცობი-მწკრივი/მწკრივი.სუბიექტი.3.მხოლობითი}

3.3. შუალობითი კონტაქტის ფორმები

ფუნქციონალური მიდგომის ეფექტიანობის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შუალობითი კონტაქტის ფორმები, მაგალითად:

ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს

კონტ.1-კეთება-თ.1-კონტ.1-თ.2-აქტ.აწმყო.ს.3.მხ.

როგორც მორფმათა გლოსებიდან ჩანს, შუალობითი კონტაქტის ფორმები დრო-კილოთა I სერიაში კიდევ უფრო მეტ სითულებს ქმნიან მორფმათა კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რასაც განაპირობებს

(ა). -ა პრეფიქსის პოლიფუნქციურობა. მსგავსად ვნებითის -ი პრეფიქსისა, -ა პრეფიქსიც, შუალობითი კონტაქტის გარდა, სხვა ფუნქციებსაც ასრულებს, მაგალითად, გამოხატავს საარვისო (resp. ნეიტრალურ) ქცევას: *ა-კეთებს:ი-კეთებს:უ-კეთებს*, გარდამავლობას (გ. მაჭავარიანის მიხედვით, კაუზაციის I საფეხურს) (მაჭავარიანი 1988): *წუხს:ა-წუხებს*, შუალობით კონტაქტს (გ. მაჭავარიანის მიხედვით, კაუზაციის II საფეხურს) (მაჭავარიანი 1988): *წერს:ა-წერინებს*, საზედაო სიტუაციას: *წერს:ა-წერს* (დაწვრილებით იხ. (ასათიანი 2016)). გარდა ამისა,

(ბ). მორფმათა ჯაჭვში დასტურდება ორი მორფმა ერთი და იმავე კვალიფიკაციით: ‘თემის ნიშანი’, ეს კი მორფმათა რანგობრივი ანალიზის თეორიულ ჩარჩოში დაუმეგბელია. ამ პრობლემის გადაწყვეტას ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ სხვადასხვა მეცნიერები. მაგალითად, ა. შანიძის მიხედვით, თ.1 აწმყოსფუძისეულია, თ.2 კი თემისნიშნისეული (შანიძე 1973); თ.1 დერივაციულია (ლექსიკური), ზმნური ფუძის შემადგენელი, თ.2 კი ფლექსიური, თემისნიშნისეული (დამენია 1982); თ.1 თემის მარკერია, თ.2 კი სერიის (ჰარისი 2009); თ.1 და თ.2, ორივე თემის ნიშანია, ოღონდ თ.1 კაუზატიური თემატური სუფიქსია, თ.2 კი თემის ნიშანი (ბოდერი 2005); თ.1 მასდარულია, თ.2 კი თემისნიშნისეული (ასათიანი 2016). ყოველ ასეთ მცდელობას თავისი არგუმენტები აქვს და თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები; ყველა შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტაზე მეტად, საკითხის ერთგვარი მოგვარება, შეთანხმება და ამ ნიშნების ტერმინოლოგიური გამიჯვნა ხდება, მაგრამ პრინციპულად ერთი ნიშნის სხვადასხვა მნიშვნელობითა თუ ფუნქციით გამოყენების კოგნიტიური საფუძვლები კვლავ გაურკვეველია.

კლასტერული მიდგომით პრობლემის ახლებური გადაწყვეტა ყველაზე მეტად ადეკვატური ჩანს, რამდენადაც ერთი კონკრეტული შემთხვევის (იგივე, უშუალო კონტაქტის ფორმების წარმოება ქართულში) განმაპირობებელი საფუძვლები სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ თანხმობაშია ენებში გავრცელებულ ზოგად მოდელთან – ფუზიის მე(-2) სახესთან:

ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს



კონტაქტი

ასეთი ანალიზი შუალობითი კონტაქტის მორფემათა სრულიად განსხვავებულ კვალიფიკაციას იძლევა: თუ ტრადიციულად თ.1-ს, როგორც წესი, ზმნის ფუძეს აკუთვნებდნენ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით, ამ მიდგომით თ.1 ერთიანდება შუალობითი კონტაქტის გამომხატველ -ინ მორფემასთან და იმავე გზით მიღებულ ალომორფად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორითაც შუალობითი კონტაქტის -*ევინ* სუფიქსური ალომორფი: -*ევინ*→-*ევ+-ინ*- (შანიძე 1973, 361). ასეთი რეინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა -*ევინ* და -*ებინ* ფორმათა სტრუქტურული იზომორფიზმი და -*ებ-*, -*ინ-* მორფემების შერწყმის მაღალი ხარისხი (შდრ. ფონოლოგიის დონეზე აფრიკატი ფონემების გენეზისის პროცესს, განვითარებულს შერწყმის მაღალი ხარისხის საფუძველზე). მაგრამ, ამგვარი მიდგომის ჩარჩოს ლოგიკური გაფართოებისა და უშუალო კონტაქტის ფორმებში დადასტურებულ სხვა ვარიანტთა გათვალისწინების შედეგად საკმაოდ იზრდება უშუალო კონტაქტის მორფემის ალომორფთა რაოდენობა: -*ინ*, -*ევ*, -*ევინ*, -*ვინ*, -*ებინ*, -*ობინ*, -*ოვინ* და -*ემინ*, რაც, მორფემული ანალიზის ეკონომიურობისა და სისტემის სიმარტივის პრინციპიდან გამომდინარე, არაეფექტური ჩანს. ასე რომ, უფრო მიზანშეწონილია {**თ.1-კონტ.**} მიმდევრობის მორფემულ კლასტერად კვალიფიკაცია, რომლის ფუნქციაა შუალობითი კონტაქტის შინაარსის გამოხატვა.

4. სინტაქსის დონე

4.1. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთი ტიპი


ბრუნების სპეციფიკურ პარადიგმას ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის ერთი ტიპი, როდესაც არსებითი სახელის ატრიბუტულ მსაზღვრელად, ერთგვარ დანართად, ფიქსირდება ასევე არსებითი სახელი, მაგალითად, *როსტევან მეფე*.

პრობლემა ჩნდება ამ შესიტყვების გააზრება-გაანალიზებისას: რომელია მსაზღვრელი და რომელი საზღვრული?


(ა). უშუალო შემადგენელთა მეთოდის ძირითადი ტექნიკის – რთული ფორმის მარტივით ჩანაცვლების ოპერაცია – გამოყენების შედეგად ცალსახად განსაზღვრა იმისა, თუ რომელია სახელური ფრაზის [*როსტევან მეფე*] შემადგენლებიდან მთავარი (resp. საზღვრული) და რომელი მისი ატრიბუტი (resp. მსაზღვრელი); ანუ, რომელი ჩანაცვლებაა გამართლებული: *როსტევან მეფე*→*როსტევან*, თუ *როსტევან მეფე*→*მეფე* – გართულებულია. ერთი მხრივ, საგანთა ლოგიკით, ზოგადი განსაზღვრავს კონკრეტულს (ამ შემთხვევაში, საკუთარ სახელს); ე.ი. *მეფე* გამოდის მსაზღვრელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ფორმალური კრიტერიუმით, სწორედ რომ *მეფე* იბრუნვის და ე.ი. ის არის ამ სახელური ფრაზის მთავარი სახელი, ანუ საზღვრული. ამასთანავე, თუ საგანთა ლოგიკიდან გამომდინარე, *როსტევანი* არის საზღვრული, გვაქვს ე.წ. შებრუნებული წყობა, ასეთ შემთხვევაში კი, ზოგადი წესით, უნდა იბრუნებოდეს შესიტყვების ორივე წევრი, მაგრამ ამ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ *მეფე*. ასევე, გაუგებარია,

(ბ). რომელ შემადგენელს მიემართება ახალი ატრიბუტული მსაზღვრელი, ვთქვათ, *მდაბალი*, ფრაზაში [*მდაბალი როსტევან მეფე*]? უშუალო შემადგენელთა იერარქიული სტრუქტურა ხსნის ამ ომონიმური ფრაზის ორაზროვანი ინტერპრეტაციის ორივე შესაძლებლობას:

(1) მდაბალი როსტევან მეფე



(2) მდაბალი როსტევან მეფე



პირველ ანალიზს მხარს უჭერს ზოგადი სემანტიკური ცოდნა (ზოგადი აზუსტებს, განსაზღვრავს კონკრეტულს), ხოლო მეორეს – ფორმალური მახასიათებლები: *მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ზოგადი წესით, ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს საზღვრული (პრეპოზიციის დროს), ან ორივე (პოსტპოზიციური წყობისას)*. ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულებში კი ეს წესი დაცული არაა – ყოველთვის სრულად იბრუნვის მხოლოდ მეორე ადგილზე მდგარი სახელი. ასე რომ, სემანტიკური და ფორმალური კრიტერიუმები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

მაგრამ, არსებობს ანალიზის მესამე შესაძლებლობაც, რომელიც ეფუძნება ფუნქციური კლასტერის გაგებას: ორივე სახელი ფუნქციურად თანაბარი ძალისაა, ე.ი. NP, ანუ შესიტყვება *{როსტევან მეფე}*, ფუნქციონირებს ერთი კლასტერული ნიშნის მსგავსად როგორც ერთი N (და არა როგორც NP ფრაზა შემადგენლებით: {N1, N2} და მსაზღვრელი *მდაბალი* მიემართება სწორედ ამ მთლიან კომპლექსს და არა რომელიმე მის ერთ-ერთ შემადგენელს).

აღსანიშნავია, რომ თუ შერწყმის ხარისხი კიდევ უფრო გაზრდილია (ანუ, ორ სახელს შორის შეუძლებელია სხვა რაიმე ენობრივი ნიშნის ჩასმა), შედეგად წარმოიქმნება ე.წ. ტოლადშერწყმული კომპოზიტები; მაგ., *ქარბუქი, წესწყობილება, პურმარილი, ერბოკვერცხი* და სხვა.

ამდენად, ადეკვატურია ამ წყვილის არა სახელურ ფრაზად კვალიფიკაცია, არამედ ფუნქციურ კლასტერად: $\{N1 + N2\} \leftrightarrow N$

მსგავს მაგალითებად შეიძლება კვალიფიცირდეს შემდეგი სახის ტიპური შემადგენლები: *დავით აღმაშენებელი, მეცნიერ თანამშრომელი, აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ქალაქი, რუსუდან ასათიანი* და სხვა.

4.2. კავშირებითი კილოს შესაბამისი კონსტრუქციები

კავშირებითი კილოს შესაბამისი აბსტრაქტული, სიღრმისეული სტრუქტურა თავისთავად კომპლექსურია და ორი ვითარების ერთიანობას გულისხმობს: ერთი ეხება გარკვეულ ფაქტს, ხოლო მეორე ასახავს ამ ფაქტისადმი მეტყველის დამოკიდებულებას სხვადასხვაგვარი მოდალობების გამოხატვით: სურვილი, განზრახვა, შემოთავაზება, აუცილებლობა, ვარაუდი, ეჭვი, შესაძლებლობა და სხვა.

ქართულში კავშირებითი კილოს მსგავსი კომპლექსურობა ორი ტიპის კონსტრუქციით შეიძლება გადმოიცეს:

(1). *გიორგის უნდა, რომ მანქანა იყიდოს.*

(2). *გიორგის უნდა მანქანა იყიდოს.*

სიღრმისეულად აქ გვაქვს ორი სიტუაციის ერთიანობა: (ა). *გიორგი ყიდულობს მანქანას* (ფაქტი), რასაც მეტყველი პირი წარმოადგენს, არა როგორც რეალურ ფაქტს, არამედ როგორც გიორგის სურვილს – სიტუაცია (ბ: *გიორგის უნდა*).

ამ სიღრმისეული მიმართებების ზედაპირული რეალიზაციები განსხვავებულია: (1) სტრუქტურა არის რთული ქვეწყობილი, დამატებით დამოკიდებული წინადადება, (2) კი სპეციფიკურია: მაქვემდებარებელი კავშირების გამოტოვება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, როგორც წესი, არ ხდება და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივი სიტუაციის გამომხატველი ბაზისური ზმნა კავშირებითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი.

საზოგადოდ, ზმნა კავშირებით კილოში აუცილებლად მოითხოვს ზედაპირულ სტრუქტურაში მოდალობის გამომხატველი ელემენტის არსებობას, რომელიც შეიძლება იყოს ან მოდალური ნაწილაკი, ან მოდალობის შინაარსის მქონე ზმნა.

ეს სემანტიკური მთლიანობა ან რთული ქვეწყობილი წინადადებით გამოიხატება, სადაც მაქვემდებარებელი კავშირი აუცილებელია, ან სინტაქსური წყვილით, ზმნური ფრაზით VP, რომელიც ერთ ფუნქციას ასრულებს – გამოხატავს ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმას. ზმნური ფრაზა, უმ-მეთოდის მიხედვით, ჩვეულებრივ ჩანაცვლებადია მარტივი ზმნით, რაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია, თუკი შემადგენლების ტიპებს არ დავუმატებთ სპეციფიკურ, მოდალობის აღმნიშვნელ AUX ტიპის არატერმინალურ, კატეგორიალურ შემადგენელს.

მაშასადამე, ადეკვატურია ამ წყვილის არა ზმნურ ფრაზად კვალიფიკაცია, არამედ ფუნქციურ კლასტერად: **{მოდალობის გამომხატველი ნაწილაკი ან ზმნა + ფაქტობრივი შინაარსის გამომხატველი ზმნა} ↔ კავშირებითი კილო.**

5. დასკვნები

შესაძლებელია სხვა კლასტერული ერთეულებიც ფუნქციობდნენ ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში – ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო რამდენიმე კონკრეტული პრობლემური საკითხის ახალი თეორიული მიდგომით გადაწყვეტის ეფექტიანობის წარმოჩენა, რაც შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი თეზისებით:

1. ორი ან მეტი ენობრივი ფორმის გამოყენება ერთი შინაარსის გამოსახატავად არის ენობრივ ნიშანთა შერწყმის, ფუზიის სპეციფიკური შემთხვევა.
2. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, დასტურდება ე.წ. ფლექსიურ (=ფუზიურ) ენებში.
3. ამ სახის შემთხვევების კვალიფიკაციისას მიზანშეწონილია ფორმათა კომპლექსებზე საუბარი, რომლებიც ენობრივ სისტემაში ამ კონკრეტულ ფორმათა ერთი ფუნქციით, დანიშნულებით გამოყენებას გულისხმობს.

4. ერთი ფუნქციით გამოყენებულ რამდენიმე ენობრივ ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციური კლასტერი.

5. ასეთი კლასტერები შეიძლება ფუნქციონირებდეს ენის ნებისმიერ დონეზე – როგორც ფონოლოგიურ, ისე მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ დონეებზე.

6. ქართულში ფუნქციური კლასტერების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ _
ფონოლოგიის დონეზე:

ჰარმონიული კომპლექსები

მორფოლოგიის დონეზე:

ენებითის ფორმა $\leftarrow \rightarrow$ {-თ(-ებ-).-აწმყო(-ი)/-აწმყო.ს.პ.მხ(-ა)}

უწყვეტელი $\leftarrow \rightarrow$ {თემა - სავრცობი - მწკრივი/-მწკრივი.სუბიექტი.პ.მხ}

შუალობითი კონტაქტი $\leftarrow \rightarrow$ {თ.1-კონტ.}

სინტაქსის დონეზე:

არსებითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად $\leftarrow \rightarrow$ {N1+N2}

კავშირებითი კილო $\leftarrow \rightarrow$ {მოდალური ნაწილაკი/ზმნა+ფაქტობრივი ზმნა}

გამოყენებული ლიტერატურა:

ასათიანი, რუსუდან. 2016. “ზმნური ხმოვანპრეფიქსები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია.” *ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“. 70–108.

ასათიანი, რუსუდან. 1987. “ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში.” *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 3. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გიგინეიშვილი, ბაქარ. 2016. “კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში.” *ენათმეცნიერების საკითხები-2016*. თბილისი: თსუ გამომცემლობა. 13-19.

დამენია, მერი. 1982. *ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები*. თბილისი.

თანდაშვილი, მანანა. 2016. *ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მაჭავარიანი, გივი. 1988. “კაუზაციის კატეგორია ქართველურ ენებში.” *იკე, XXVI I*. თბილისი.

შანიძე, აკაკი. 1973. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია*. მეორე გამოცემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჰარისი, ალისა. 2009. “On the Order of Morphemes in Georgian Verbs and Substantives”. *სამეცნიერო სტატიების კრებული: “გურამ კარტოზია 75”*. თბილისი.

Boeder, Winfried. 2005. “The South Caucasian Languages.” *Lingua*, 115. Elsevier.

Wurmbrand, Susi. 2017. "Verb Clusters, Verb Raising, and Restructuring." *The Blackwell Companion to Syntax*, Blackwell Reference Online: DOI:10.1002/9780470996591.CH75, Corpus ID: 118441351, pp. 1-110.

Rusudan Asatiani

Functional Clusters of Linguistic Forms at Different Linguistic Levels in Georgian

Resume

The main task of structural linguistics is to identify and describe the relationship between the "Signifier" and the "Signified" of the "Sign". The study of these relations is effective if all three aspects of the sign are taken into account, both syntactic or semantic, and pragmatic.

Foregrounding of the pragmatic aspect implies a shift in emphasis from the meaning of the sign to its functions: in the functional approach, the sign is analysed not only from the point of view of its meaning and form but also from the point of view of its functions in the language system.

From a functional point of view, it becomes clear that sometimes a one-to-one correspondence between the signifier (res. value) and the signifier (res. form) cannot be established, since it may be that

(1). The form of one linguistic sign expresses several meanings at the same time; And, vice versa,

(2). Different forms of various linguistic signs express one function, and these signs function as one unit in the language system.

Patterns of such morphemes are common in so-called fusion languages, where one morpheme expresses several meanings at the same time; For example, in the Georgian language, a morpheme *-s* denoting III-Person of a Subject simultaneously expresses a set of meanings: either {S, III, Singular, Active Verb, Present}, or {S, III, Singular, Subjunctive Mood}. Such cases of fusion (**one form \leftrightarrow several meanings**) are quite common in the grammatical system of the Georgian language and are properly analysed. However, the second case, such is **one meaning/function \leftrightarrow several forms**, is lesser studied and identified in Georgian.

At the level of phonology, the so-called Harmonic Complexes identified and studied by G. Akhvlediani are examples of such clusters.

The paper reveals and analyzes some examples of so-called "Functional Clusters" in Georgian at the levels of morphology and syntax.

Morphological level:

Passive Form \leftrightarrow {-Theme(-*eb*)-.PRS(-*i*)/-PRS.S.3.SG(-*a*)}

Imperfective \leftrightarrow {-Theme-IPFV(-*od*-/*d*)-PST(-*i*)/PST.S.3.SG(-*a*)}

Causative \leftrightarrow {-Theme-Caus.(-*in*)}

Syntactic Level:

NP with Two Nouns \leftrightarrow {N1+N2}

Subjunctive Mood \leftrightarrow {Modal Particle/Modal Verb + Basic Verb}